ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1408813

ნომერი: AR1238403

თარიღი : 18.07.2014

გაცემის თარიღი : 29.07.2014

გაცნობის თარიღი : 30.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩისა და იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების გადაკვეთასთან (ნაკვეთი 36/040)/ ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩის დასაწყისში ა.გ.ს.-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2014 წლის 18 ივლისის AR1238403 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.11.05.036.040 მიწის ნაკვეთზე უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #850088) ცვლილების განხორციელებას გაცნობებთ შემდეგს:

გაურკვეველია მოთხოვნა, უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #850088) გნებავთ #01.11.05.036.042 საკადასტრო ერთეულის დამატება თუ #01.11.05.036.040 და #01.11.05.036.042 საკადასტრო გეგმები გაერთიანდა და ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირება. გთხოვთ დახარვეზებულ ველში დააზუსტოთ მოთხოვნა დახარვზებულ ობიექტის ფუნქციის შესაბამის ველში დააზუსტოთ ობიექტის მოთხოვნა ხოლო ახალი საკადასტროს არსებობის შემთხვევაში ატვირთოთ იგი შესაბამის ველში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განცხადება შემოსულია 2014 წლის 18 ივლისს . თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად. სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება აღმოფხვრილი ხარვეზი, განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ სადაც დაზუსტებული იქნება მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.